რატომ და როგორ უნდა დაუჭიროს მხარი ადგილობრივმა თვითმმართველობამ სოციალურ ინოვაციებს

სოციალური ინოვაციები

ctc Empowering People for Change

რატომ და როგორ უნდა დაუჭიროს მხარი ადგილობრივმა თვითმმართველობამ სოციალურ ინოვაციებს

სოციალური ინოვაციები

ctc Empowering People for Change

რა არის სოციალური ინოვაცია

სოციალური ინოვაციის ტერმინის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში რეფორმატორებისა და სოციალური აქტივისტების მიერ დაიწყო, რომლებიც სიღარიბის აღმოფხვრის, უთანასწორობის შემცირების, ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესებისა და სხვა სოციალურ საკითხებზე მუშაობდნენ. სოციალური ინოვაციის კონცეფცია ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის ბოლოს და გამოიცადა საჯარო მართვის სხვადასხვა სექტორში. დღეს სოციალური ინოვაციები ხშირად გამოიყენება მთავრობების, ბიზნესებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი კომპლექსური სოციალური საკითხების მოსაგვარებლად. COVID-19 პანდემიამ განსაკუთრებით გაამძაფრა არსებული სოციალური პრობლემები და მეტად გაზარდა სოციალური ინოვაციების საჭიროება. ამ ფონზე მთავრობებმა და ორგანიზაციებმა უკეთ გააცნობიერეს სოციალური ინოვაციების ეფექტიანობა თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

სოციალური ინოვაციის ტერმინი აქტიურად განიხილება აკადემიურ დისციპლინებში. ლიტერატურაში სოციალური ინოვაცია გვხვდება, როგორც *„...ინოვაციური აქტივობები და სერვისები, რომელთა მიზანია სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება და რომლებიც ძირითადად იქმნება და ხორციელდება ისეთი ორგანიზაციების მეშვეობით, რომელთა ძირითადი მიზნები სოციალურია“* (Mulgan et al., 2007). ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მიაღწიოს *„...ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სოციალური ურთიერთობების ტრანსფორმაციის გზით“* (MacCallum et al., 2009). ავტორი ტრანსფორამციაში მოიაზრებს, ერთი მხრივ, არსებული მმართველობითი სისტემების გაუმჯობესებას იმგვარად რომ ისინი მოქალაქეებს სთავაზობდნენ მათ საჭიროებებზე მეტად მორგებულ სერვისებსა თუ პროდუქტებს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ურთიერთობების საერთოდ ახალი სისტემებისა თუ ინოვაციური იდეების ჩამოყალიბებას. ინოვაციის ასეთი ფორმები შეიძლება იყოს *„...ახალი იდეები (პროდუქტები, სერვისები და მოდელები), რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებენ სოციალურ საჭიროებებს (უფრო ეფექტურად, ვიდრე არსებული ალტერნატივები) და ქმნიან ახალ სოციალურ ურთიერთობებსა და მეტ შეჭიდულობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ინოვაციები, რომლებიც არა მხოლოდ სასარგებლოა საზოგადოებისთვის, არამედ ზრდის საზოგადოების მოქმედების შესაძლებლობებს“* (BEPA Bureau of European Policy Advisers., 2010).

სოციალური ინოვაციების კონცეფცია დროთა განმავლობაში მეტად განვითარდა სხვადასხვა მოძრაობისა თუ ორგანიზაციის ძალისხმევით, რომლებიც ცდილობდნენ ეპოვათ კრეატიული გადაწყვეტები სოციალური გამოწვევების საპასუხოდ. დღეს სოციალური ინოვაციები წარმოადგენს მნიშვნელოვან გზას რთული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და უფრო ძლიერი და მდგრადი თემების შესაქმნელად.

სოციალური ინოვაციის განმარტება ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში

სოციალური ინოვაცია ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში გულისხმობს **მრავალდონიანი (1)**, **მრავალაქტორიანი (2)** და **მრავალსექტორიანი (3)** ადგილობრივი მმართველობის სისტემის შექმნას. მრავალდონიანი სისტემა მოიაზრებს თანამშრომლობასა და პარტნიორობას დაინტერესებულ მხარეებს შორის სხვადასხვა დონეზე, როგორიცაა ეროვნული, რეგიონული თუ ადგილობრივი დონე, რათა უზრუნველყოს პოლიტიკებისა და ინიციატივების შესაბამისობა და კოორდინაცია საერთო მიზნების მისაღწევად. სოციალური ინოვაციის მრავალაქტორიანი განზომილება მოიცავს სხვადასხვა აქტორების ჩართულობას, როგორებიცაა მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი, მოქალაქეები და ქმნის ინკლუზიურ და მრავალფეროვან მმართველობის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ადგილობრივი საჭიროებებისა და გამოწვევების უკეთ იდენტიფიცირებასა და დაძლევას. ამგვარი მიდგომა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების ტრადიციული მოდელიდან - „ზემოდან ქვემოთ“ მეტად მონაწილეობრივ მეთოდზე გადასვლას, რომელიც ახალისებს მოქალაქეებს თავად გახდნენ ცვლილებების აგენტები მათ საზოგადოებაში. სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობა კი უზრუნველყოფს ჰოლისტურ და ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს სოციალური ინოვაციების სარგებლის გავრცელებას ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა სფეროში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში სოციალური ინოვაცია დიდწილად მოიაზრებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც სოციალური ინოვაციები შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს. მათ შორის, გაიხსნას შესაძლებლობები სხვადასხვა არა-საჯარო აქტორებისთვის და თავად ჰქონდეთ აქტიური როლი განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც მუნიციპალიტეტებს არ შეუძლიათ ეფექტიანად ფუნქციონირება მწირი ფინანსური, ადამიანური რესურსებისა თუ სხვა შეზღუდულობების გათვალისწინებით.

საერთო ჯამში, სოციალური ინოვაცია ეს არის ახალი მიდგომებისა თუ გადაწყვეტების მიგნება, რომლებიც აუმჯობესებს **საჯარო სერვისების მიწოდებას**, ზრდის **მოქალაქეთა მონაწილეობასა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას**, ხელს უწყობს **მდგრად ადგილობრივ განვითარებას** და სხვა.

რატომ უნდა დაუჭიროს ადგილობრივმა თვითმმართველობამ მხარი სოციალურ ინოვაციას?

ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეებისთვის საჯარო სერვისების მიმწოდებელი ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო (მერია) ვალდებულია მის მოსახლეობას მიაწოდოს სხვადასხვა ტიპის სერვისები, რომლებიც ასახულია მათ საკუთარ უფლებამოსილებებში და პირობითად შესაძლებლია დაჯგუფდეს თემატური სფეროების მიხედვით:

- **საგანმანათლებლო სფერო, კულტურა და სპორტი:** სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა-ბაღები, საბავშვო ბაღები) მართვა; ტექნიკური და სპეციალიზებული განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების უზრუნველყოფა; მუნიციპალური მნიშვნელობის თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების მართვა; სპორტული მოედნებისა და საზოგადოებრივი გართობის ცენტრების მოწყობა; კულტურული თუ სპორტული აქტივობების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება და სხვა;

- **სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა:** სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი, ობოლი არასრულწლოვანი, ხანდაზმული, მარტოხელა მშობელი, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებული პირი და სხვა მოწყვლადი ჯგუფები) მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის (პრევენცია, პროფილაქტიკა, ზრუნვა, რეაბილიტაცია) სერვისების შეთავაზება, ადგილობრივი მნიშვნელობის საავადმყოფოების ორგანიზება) და სხვა.

- **კომუნალური სერვისების მიწოდება:** წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა, ელექტრომომარაგება, ადგილობრივი მნიშვნელობის კავშირგაბმულობა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, შეკეთება; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება და რეგულირება; გარეგანათება; ნარჩენების მართვა; დასუფთავების უზრუნველყოფა; ბუნების დაცვის ადგილობრივი ღონისძიებები, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურების მართვა,

- **ადმინისტრაციული სერვისები:** ნებართვები, ლიცენზირება და სხვადასხვა სახის უფლებების გაცემა და სხვა.

ყველა ამ უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები, მათ შორის მათ მიერ რეგისტრირებული არასემწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) ახორციელებენ სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების სახით. შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, რთულია მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდება, რაც, თავის მხრივ, აისახება მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. გარდა ამისა, თვითმმართველობის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხი დიდწილად განაპირობებს მოსახლეობის ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი განწყობებსა და დამოკიდებულებებს. გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით შემუშავებული საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების ბოლო კვლევის მიხედვით, 2019 წელთან შედარებით 2021 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებლი 5%-ით შემცირებულია და 48,5%-ს შეადგენს. ამავე კვლევით, როგორც საკრებულოს/მერიის, ისე სოფლად მერის წარმომადგენლის მუშაობით უკმაყოფილების შემდეგი ორი ძირითადი მიზეზი გამოიკვეთა: ა) არ ხდება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება; ბ) არ აქვთ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან. პარალელურად, 9,5%-ით შემცირებულია იმ ადამიანთა რიცხვიც, ვინც ენდობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. უნდობლობის ძირითად მიზეზებს შორისაა გადაუჭრელი პრობლემები, სერვისების მიღებაზე უარი, ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, თანამშრომელთა კვალიფიკაცია და სხვა.

პარალელურად ამისა, საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ბოლო - 2021 წლის, ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო შედეგი კვლავინდებურად დაბალია და 28%-ს უტოლდება. კველევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელიც ქვედა კრიტიკულ ზღვარზეა და 23%-ს შეადგენს. მეტიც 2019 წელთან შედარებით ის მნიშვნელოვნად, 6%-ით, არის შემცირებული.

სოციალური ინოვაციების მხარდაჭერა, გარდა იმისა რომ ის აუმჯობესებს მოქალაქეთა კეთილდღეობას, საუკეთესო გზაა ზემოთ აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში, რომელთა მოგვარება ტრადიციული მეთოდებით რთულია, ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას და იმუშვებს მეტად საჭიროებებზე მორგებულ ალტერნატივებს, ზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხს და ხელს უწყობს მათ მიმართ მოსახლეობის ნდობის გამყარებას.

შეჯამების სახით, თუ რატომ არის სოციალური ინოვაციების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის:

- **მზარდი სოციალური გამოწვევების მოგვარება:** სოციალური ინოვაცია შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივ თვითმმართველობებს უპასუხონ ისეთ სოციალურ საკითხებს, რომლებიც ადეკვატურად არ არის მოგვარებული არსებული პოლიტიკით ან სერვისებით. ეს საკითხები შეიძლება მოიცავდეს სოციალურ უთანასწორობას, უმუშევრობას, კლიმატის ცვლილებას, ურბანიზაციას და ა.შ.

> ***მაგალითი:*** *ბელგიის ქალაქ ანტვერპენში 2020 წლის მონაცემებით ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელმა 25.2%-ს მიაღწია, მაშინ როდესაც ფლამანდრიის რეგიონში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 17.7% იყო. პრობლემის საპასუხოდ შეიქმნა ახალგაზრდების კომპეტენციების ცენტრი (YCC), სადაც ახალგაზრდა მუშაკები და კონსულტანტები ეხმარებიან ახალგაზრდებს პროფესიული უნარების განვითარებსა და დასაქმებაში. შედეგად, ცენტრის ბენეფიციარების 60%-მა იპოვა დასაქმების ან/და უნარების განვითარებისა და სწავლების შესაძლებლობები. მათ შორის 19%-მა იპოვა მუდმივი სამსახური, ძირითადად ლოჯისტიკის სექტორში.*

- **საჯარო სერვისების გაუმჯობესება:** სოციალური ინოვაციები ხელს უწყობს ადგილობრივ ხელისუფლებას გააუმჯობესოს საჯარო სერვისები მომსახურების მიწოდების ახალი გზების დანერგვით, რომელიც უფრო ეფექტური, ეფექტიანი და მომხმარებლისთვის მოსახერხებელია. მაგალითად, ახალი ტექნოლოგიის გამოყენებამ საჯარო სერვისების მიწოდებაში შეიძლება სერვისები უფრო ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე მორგებული გახადოს. ეს ეხება როგორც სოციალურ სერვისებს, ისე განათლების, კომუნალურ და ინფრასტრუქტურულ სერვისებს და სხვა.

> ***მაგალითი:*** *ჰუმინეთში 1.3 მილიონი ადამიანის აქვს იშვიათი დაავადებები, რომელთა დიაგნოსტირება და ადეკვატური მკურნალობა ვერ ხერხდება. ჯანდაცვის სისტემა ვერ პასუხობს მათ საჭიროებებს ერთი მხრივ, პაციენტების მცირე და გაფანტული პოპულაციის, ხოლო, მეორე მხრივ, ექიმების მწირი ცოდნისა და დიაგნოსტიკური ცენტრების სიმცირის გამო. ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) და ნორვეგიის მთავრობის გრანტის მხარდაჭერით ჰუმინეთის ჯანდაცვის სამინისტრომ რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან ერთად 2011 წელს დააფუძნა იშვიათი დაავადებების მიმართვის ცენტრი (NoRo). ცენტრი ერთი ფანჯრის პრინციპით (one-stop-shop) ადამიანებს სთავაზობს კომბინირებულ სერვისებს, რომელიც მოიცავს სამედიცინო, სოციალურ და საგანმანათლებლო მომსახურებებს პაციენტებისა და მათი ოჯახებისთვის. ამ დროისთვის ცენტრი ქვეყნის მასშტაბით პაციენტების 10%-ს სთავაზობს სერვისებს. ბოლო 6 წლიწადში მათ 2 200-ზე მეტი კონსულტაცია გასწიეს. 2015 წლიდან დღემდე კი 900-ზე მეტმა პაციენტმა მიიღო ცენტრის დამატებითი სერვისები მხარდამჭერთა ჯგუფების ღონისძიებები, საზაფხულო ბანაკები, თერაპიული პროგრამები და სხვა.*

- **ეკონომიკური ზრდის სტიმულირება:** სოციალურ ინოვაციებს შეუძლიათ შექმნან ახალი იდეები, პროდუქტები და სერვისები, რომლებსაც მოაქვს ეკონომიკური ზრდა და ახალი სამუშაო ადგილები ადგილობრივ თემებში. ამან, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს მეწარმეობას და გაზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები.

> ***მაგალითი:*** *მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჯანმრთელობის მხარდასაჭერად საკმაოდ დიდი თანხებია გამოყოფილი (13.5 მილიარდი 2005 წლიდან) სამედიცინო აღჭურვილობისთვის მწირი თანხებია დათმობილი (1.4 მილიარდი). გარდა იმისა, რომ ეს თანხა არ არის საკმარისი, პერიოდულად დიდი ოდენობით სამედიცინო პროდუქცია ზიანდება და იყრება ნაგავში. ენვი ნეთვორქმა, რომელიც აერთიანებს სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერ 50 კომპანიას, დაიწყო დაზიანებული, ან გამოუყენებელი სამედიცინო აღჭურვილობის მოგროვება და რემონტი. ნეთვორქი ამ აღჭურვილობას აქირავებს ან ყიდის 50%-70%-ით ნაკლებ ფასად საჭიროების მქონე პირებზე. ნეთვორქის ამ ცირკულარული ეკონომიკის მოდელმა ხელი შეუწყო ეკონომიკის სტიმულირებას, გაზარდა დასაქმება და აღჭურვილობის*

გადამუშავებით შეამცირა გარემოსდაცვითი ნეგატიური ეფექტები. 2015 წლიდან ნეთვორქს ჰყავს 50 სრულ შტატზე მომუშავე ადამიანი და 2 450-ზე მეტი ლოიალური დასაქმებული. მათ მოაგროვეს 14 000-ზე მეტი სამედიცინო აღჭურვილობა და მიაწოდეს ის 2 200 ადამიანზე მეტს.

- **დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა:** სოციალური ინოვაცია ხელს უწყობს ადგილობრივ ხელისუფლებას, მოქალაქეებს, ბიზნესს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას სოციალური გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით. თანამშრომლობა ზრდის ჩართულობას და ინოვაციურ იდეებს, რაც იწვევს ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომელიც აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს.

- **რესურსების ეფექტიანობის ამაღლება:** სოციალური ინოვაცია შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივ ხელისუფლებას, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სოციალური პროგრამებისა და სერვისებისთვის ხელმისაწვდომი რესურსები. ინოვაციურ გადაწყვეტებს, რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიებსა და საზოგადოების რესურსებს, შეუძლიათ ადგილობრივ მთავრობებს დაეხმარონ სერვისების უფრო ეკონომიურად მიწოდებაში.

- **საზოგადოების მდგრადობის ხელშეწყობა:** სოციალურ ინოვაციას შეუძლია დაეხმაროს ადგილობრივ მთავრობებს, ხელი შეუწყოს საზოგადოების მდგრადობას საზოგადოებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავების გზით, რომელიც იქნება მდგრადი, ინკლუზიური და უპასუხებს ადგილობრივ საჭიროებებს. ეს მიდგომა შეიძლება დაეხმაროს თემებს სოციალური პრობლემების ძირეული მიზეზების გადაჭრაში, რაც გამოიწვევს გრძელვადიან პოზიტიურ ეფექტებს.

ამდენად, სოციალური ინოვაციები მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რამდენადაც ის მეტად ეფექტურად პასუხობს სოციალურ საჭიროებებს, აუმჯობესებს სერვისებს, აძლიერებს რესურსების ეფექტიანობას, ამაღლებს საზოგადოების მდგრადობას და ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვადასხვა აქტორებს შორის.

როგორ უნდა დაუჭიროს მხარი სოციალურ ინოვაციებს ადგილობრივმა თვითთმმართველობამ?

როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მთავრობების როლი მუდმივად მზარდია სოცილური ინოვაციების განვითარებაში. ქვემოთ მოტანილია რამდენიმე ინსტრუმენტი თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივ თვითმმართველობებს სოციალური ინოვაციების მხადრაჭერა:

- **დაფინანსება:** უზრუნველყოს დაფინანსება და გრანტები სოციალურ ინოვატორებისა და ორგანიზაციებისთვის მათი პროექტებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად. ხშირ შემთხვევაში ეს დაფინანსება არ არის დაკავშირებული კოლოსალურ ხარჯებთან და მისი ეფექტი გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით აღემატება დანახარჯებს

- **ინკუბატორები და აქსელერატორები:** შექმნას ინკუბატორები და აქსელერატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მენტორობას, რესურსებს და ქსელის სხვადასხვა შესაძლებლობებს სოციალური ნოვატორებისა და მეწარმეებისთვის

- **პოლიტიკა და მარეგულირებელი მხარდაჭერა:** შეიმუშაოს პოლიტიკა და რეგულაციები, რომლებიც მხარს უჭერენ და წაახალისებენ სოციალურ ინოვაციებს. ასეთი შეიძლება იყოს სოციალური საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათების შემოღება, ადგილობრივი კანონმდებლობით სოციალური საწარმოებისგან პროდუქტის/მომსახურების პრიორიტეტული შესყიდვის ან კვოტირების

საკითხის განსაზღვრა ან/და სოციალური ზემოქმედების გაზომვის სტანდარტების დაწესება და სხვა. მაგალითად, ლატვიაში, ადგილობრივ ხელისუფლება უფლებამოსილია სოციალური საწარმოები გაათავისუფლოს უძრავი ქონების გადასახადისგან, რომელიც ადგილობრივ გადასახადს წარმოადგენს. ჰოლანდიაში ისინი სარგებლობენ საშემოსავლო გადასახადის შეღავათებით და სხვა.

- **საჯარო და კერძო პარტნიორობა:** ითანამშრომლოს კერძო სექტორის კომპანიებთან სოციალური ინოვაციების ინიციატივების მხარდასაჭერად და სოციალური პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტილებების შესაქმნელად

- **თანამშრომლობის ხელშეწყობა:** სხვადასხვა პლატფორმების შეთავაზების გზით, ხელი შეუწყოს სოციალურ ინოვატორებს, ბიზნესებსა და აკადემიურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას სოციალური გამოწვევებისთვის ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით

- **განათლება და ინფორმირებულობა:** განახორციელოს საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები სოციალური ინოვაციების მნიშვნელობასა და მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ

მზრუნველი (CAREMATE) - ხელმისაწვდომი შინმოვლის სერვისი ყველასთვის

ესტონეთი

პრობლემა

მოსახლეობის დაბერება, მსგავსად ზოგადი ევროპული ტრენდისა, გამოწვევაა ესტონეთისთვისაც. 65 წელს ზემოთ მყოფმა მოქალაქეთა რიცხვმა მთლიანი მოსახლეობის 20%-ს მიაღწია. შესაბამისად გაიზარდა ჯანმრთელობისა და ზრუნვის სერვისების საჭიროება. ტრადიციულად ამ ტიპის სერვისებს ესტონეთში ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს. შეზღუდული რესურსების პირობებში, მოსახლეობის სულ უფრო დიდ ნაწილი წუხს, რომ არ არის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის სერვისების მიღება. მხოლოდ 2016 წელს, ესტონეთის მოსახლოების 40% აღნიშნავდა, რომ შინმოვლის სერვისები არ იყო მორგებული მათ საჭიროებებს.

ინოვაციური გადაწყვეტა

CareMate არის ინოვაციური გადაწყვეტა ერთი მხრივ უპასუხოს შინმოვლის სერვისებზე არსებულ მოთხოვნას და მიაწოდოს საჭიროებებზე მორგებული სერვისები, ხოლო მეორე მხრივ დაეხმაროს ადგილობრივ თვითმმართველობას იყოს მეტად ეფექტური მისი საქმიანობის განხორციელებისას.

CareMate ინოვაციური ონლაინ პლატფორმაა, რომელიც ორივე მხარს - როგორც ზრუნვის მიმღებს ასევე სერვისის მიმწოდებელს - პირდაპირ დაკავშირების საშუალებას აძლევს, მესამე მხარის ჩართულობის გარეშე. ის 2017 წელს დაფუძნდა, როგორც სოციალური საწარმო და მას შემდეგ წარმატებით ფუქნციონირებს ტალინსა და ტარტუში. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია 5 ტიპის მომსახურება:

- პერსონალური მოვლა (Personal care)
- შინმოვლა (Homecare)
- საგარეო საქმიანობებში დამხარება (Outdoor assistance)
- ბავშვების მოვლა (Care for Kids)
- დამატებითი სერვისები (Additional services)

ეს მომსახურებები მოიცავს, საჭიროების მქონე პირის პერსონალური ასისტირების სერვისს, სახლის მოვლის მომსახურებასა (დალაგება, ეზოს მოვლა, რეცხვა და სხვა) და ბავშვებზე ზრუნვას (მათი სკოლაში/ბაღში წაყვანა, კვება, მოწესრიგება და სხვა). დამატებით სერვისებად ასევე შეთავაზებულია 12 საათიანი ზრუნვის მომსახურება, ფსიქოთერაპია, მასაჟი, სალონური მომსახურებები და სხვა. პლატფორმის საშუალებით მომხმარებელი თავად ირჩევს სერვისის ტიპს, ხანგრძლივობას და ხელმისაწვდომ მზრუნველს მისი ლოკაციის მიხედვით. შესაბამისად, ისინი იღებენ საჭირო სერვისს ძალიან სწრაფად და შედარებით დაბალ ფასად.

© CareMate

სერვისის დაბალ ფასს ერთი მხრივ განაპირობებს ის, რომ მზრუნველები ახლოს ცხოვრობენ მომხმარებლებთან, შესაბამისად არ სჭირდებთ დიდი დრო და რესურსები ადგილზე ტრანსპორტირებისთვის, ამასთანავე ისინი თავადვე უთითებენ პლატფორმაზე მათთვის მისაღებ სამუშაო პერიოდს დღის მანძილზე, რაც მათ დამატებით სხვა საქმიანობის შეთავსების საშუალებას აძლევთ. მეორე მხრივ ესტონეთის საკანონმდებლო ჩარჩო ინდივიდუალურ პირებს, რომლებიც მზრუნველებად არიან რეგისტრირებულნი პლატფორმაზე, საშუალებას აძლევს გახსნან ე.წ მეწარმის ანგარიში (entrepreneur account) და გადაიხადონ შედარებით ნაკლები გადასახადი. გარდა ამისა, ზოგი მარტივი სამედიცინო მომსახურების გასაწევად ესტონეთში არ მოითხოვება სამედიცინო განათლება და გამოცდილება, რაც ასევე მეტ მოქნილობას მატებს პლატფორმას.

ყველა მზრუნველი გადის ტრენინგებს, რომელსაც თავად პლატფორმა სთავაზობს. ეს ტრენინგ კურსები ასევე ხელმისაწვოდმია საჭიროების მქონე ადამიანების ოჯახის წევრებისთვისაც.

ძირითადი მიღწევები და სარგებელი

პლატფორმის ამოქმედებიდან პირველივე წელს 500-ზე მეტი ადამიანი დარეგისტრირდა ზრუნვის სხვადასხვა სერვისის მისაღებად. მათგან 200-ზე მეტმა მომხარებელმა რამდენიმეჯერ ისარგებლა სხვადასხვა სერვისით. ამჟამად, 500ზე მეტმა მზრუნველმა გაიარა პლატფორმის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და გასწია მომსახურებები. მომხარებლების კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლი უთითებს, რომ პლატფორმა წარმატებით მუშაობს და მისი შემქმნელები გეგმავენ მომსახურების გაფართოებას ესტონეთის სხავდასხვა ქალაქებში.

პლატფორმის საქმინობით სარგებელს იღებს ადგილობრივი თვითმმართველობაც, რამდენადაც CareMate-ის პლატფორმა უზრუნვლყოფს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური საჭროებების დაკმაყოფილებას.

მდგრადობა და თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან

2020 წელს პლატფორმამ მიიღო დაფინანსება ევროპის სოციალური ფონდიდან (ESF) 185 000 ევროს ოდენობით, პლატფორმის განვითარების მიზნით.

პლატფორმას აქტიურად უჭერს მხარს ტალინის ადგილობრივი თვითმმართველობა. 2021 წელს CareMate-მა წარმატებით მიიღო მონაწილეობა ტალინის სოციალური და ჯანდაცვის საბჭოს საპილოტე პროექტში, სადაც მათი 60 მზრუნველი წავიდა ქალაქში მცხოვრები ოჯახების დასახმარებლად.

2022 წელს ტალინის თვითმმართველობამ გააფრომა შესყიდვის 3-წლიანი კონტრაქტი CareMate-თან, რითაც შეამცირა ხარჯები, რომლებსაც თავად სწევდა სერვისის მისაწოდებლად. კონტრაქტის თანახმად, CareMate-ის მეშვობით საჭიროების მქონე მოქალაქეები სრულიად უფასოდ მიიღებენ სერვისებს. სერვისის ბენეფიციარია ტალინში რეგისტრირებული მაღალი საჭიროების მქონე ზრდასრული პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის, შრომისუნარიანობის ან საცხოვრებელი გარემოდან გამომდინარე, სჭირდება მომვლელის დახმარება, თანადგომა ან ხელმძღვანელობა ყოველდღიურად საკუთარ თავზე ზრუნვაში. ქალაქის მიერ გადახდილი მომსახურების მისაღებად, საჭიროა მოქალაქეები ერთჯერადად დაუკავშირდნენ იმ რაიონის სოციალური დაცვის განყოფილებას, სადაც ცხოვრობენ, მოახდინონ მათთვის საჭირო სერვისების იდენტფიფიცრება, ხოლო მომსახურების მიმწოდებელი განსაზღვრავს საჭირო დეტალებს დახმარების გაწევისა და მოვლის გეგმის შესაქმნელად. ამის შედგომ, კი პირს შეუძლია სერვისის შეკვეთა პირდაპირ CareMate პლატფორმიდან განახორციელოს.

გამოყენებული ლიტერატურა

BEPA Bureau of European Policy Advisers. (2010). *Empowering people, driving change Social Innovation in the European Union.* Retrieved from: https://ec.europa.eu/archives/bepa/pdf/publications_pdf/social_innovation.pdf

Biljohn, M. (2018). *Social innovation and service delivery by local government: a comparative perspective* (Doctoral thesis). Retrieved from: https://scholar.ufs.ac.za/handle/11660/8544

Chin, V. Mees, H. (2021). *The rising stars of social innovations: How do local governments facilitate citizen initiatives to thrive? The case of waste management in Brussels and Hong Kong.* Retrieved from: https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/eet.1953

CareMate. https://caremate.ee/

Danish Technological Institute. (2013). Social innovation in Local Government - Experiences from Denmark.

European Commission. (2020). *Social innovation: inspirational practices supporting people throughout their lives.*

GovPilot. *Six Keys to Local Government Innovation 2023.* Retrieved from: https://www.govpilot.com/blog/modern-local-government-innovation

INNOVATE project. (2014). *Social Innovation Policy Toolkit.* Retrieved from: https://civicspace.eu/wp-content/uploads/library/social-innovation-policy-toolkit-5d629b5c43d7e.pdf

MacCallum et al., (2009). *Social Innovation and Territorial Development.* Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/44960912_Social_Innovation_and_Territorial_Development

Mulgan et al., (2007). *Social innovation: What it is, Why it matters and How it can be accelerated.*
Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/277873357_Social_Innovation_What_It_Is_Why_It_Matters_and_How_It_Can_Be_Accelerated

PEALIN. (2022). *Tallinn alustab koostööd platvormiga CareMate omastehooldajate abistamiseks, et võimaldada neile aega iseendale.*
Available at: https://pealinn.ee/2022/04/27/tallinn-alustab-omastehooldajate-abistamiseks-koostood-platvormiga-caremate/

Social Innovation Community. *The role of local governments in social innovation.* Retrieved from: https://www.siceurope.eu/learning-portal/experimental-hubs/role-local-governments-social-innovation

UNDP საქართველო. (2022). *საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა.* ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/ka/georgia/publications/citizen-satisfaction-survey

LSG Index. (2022). *საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2021 წლის ეროვნული შეფასების ანგარიში.* ხელმისაწვდომია: http://www.lsgindex.org/ge/outcome/view/3/